საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

ხელშეკრულება ერთ პირთან მოლაპარაკების მეთოდით სახელმწიფო

**ხელშეკრულება #38**

ქ. თბილისი 21 მარტი 2016 წ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის გურამ ალექსიძის მეშვეობით /შემდგომში „დამკვეთი"/ ერთის მხრივ და შ.პ.ს " დეგაპრინტი" მისი დირექტორის ლაშა სოხაძის სახით, შემდგომში "მიმწოდებელი" მეორეს მხრივ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების ობიექტის დასახელება

1.„მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას დაუბეჭდოს " დამკვეთს" 100 ცალი ბროშურა 1340 (ერთიათასსამასორმოცი) ლარის ღირებულების.

2.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. „დამკვეთი" იღებს ვალდებულებას გადაუხადოს „მიმწოდებელს" აღნიშნულ საქონელში 1340 (ერთიათასსამასორმოცი) ლარი.

3. შესასყიდი საქონლის ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობა

3.1. „მომწოდებელი" იღებს ვალდებულებას შეუსრულოს „დამკვეთს" ზემოთ აღნიშნული სამუშაოები და მიაწოდოს საქონელი მომქმედი ტექნიკური სტანდარტების მიხედვით და ამ ხელშეკრულების შესაბამისად.

4. შესასყიდი საქონლის მიწოდების ვადები

4.1. „მომწოდებელი" იღებს ვალდებულებას მიაწოდოს „დამკვეთს" შესყიდვის ობიექტი და შეასრულოს შეკვეთილი სამუშაოები თანხის ჩარიცხვიდან (მიღებიდან) 10 დღის განმავლობაში.

5. საქონლის მიღების წესი

5.1. შესასყიდი ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მას შემდეგ როცა „დამკვეთი" მიიღებს „მომწოდებელი" -საგან მის მიერ გადახდილი თანხის შესაბამის საქონელს და ეს დაფიქსირებული იქნება ანგარიშ-ფაქტურით ან სასაქონლო ზედნადებით.

6. ანგარიშსწორების ფორმა

6.1. ანგარიშსწორება მხარეებს შორის მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

7.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

8.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.